ᲙᲕᲘᲠᲐ 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1916 Წ. ფასი 15 კაპ.

რედაქციის ადრესი: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲝᲚᲚᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ № 6.

ᲭᲔᲩᲐᲠᲘ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 27

ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ



Თ. Ი. ᲮᲐᲢᲘᲡᲝᲕᲘ. დასწერეთ მოწოდება და გადაეცით გაზეთებს დასაბეჭდათ, რომ წყალი დახოგვით ხარჯონ!..

„დაუძინებელი“ მტერი

ვიცი არავინ დამიჯერებს, ჩემი ბილეთის აღების ისტორია რომ ვილაპარაკო. არ დამიჯერებენ მიუხედავათ იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილია სიძნელე რკინის-გზის სამგზავრო ბილეთის აღებისა.

მაგრამ უმალვე დამავიწყდა განვლილი მწუხარება, ათას ალაგას გულგახვრეტილი ლურჯი კარტონის ნაჭერი როცა ხელში ვიგდე და სარგურის ბაქანზე გამოვედი. ეგზომ წარმავალია ქირიცა და ლხინიც ადამიანისა.

ობერ კონდუქტორი, თუ არ ვიცი უბრალო კონდუქტორი, პირველი შემეფეთა ვაგონის კარებთან; მეორე საფეხურზე ასული დაბლა ჩამომახტუნა.

— ვაშე ბილეთი?

— აი, ბილეთი! ცოტა წყრომით მივუგე ძირს ჩამოთრევისათვის. — განა ძნელი იყო ზრდილობიანათ მოგეთხოვათ?

— ყველასთან ზრდილობა არ გაგივა.

— ჩინებული წეს რიგია! მერე როგორ ატყობთ ვისთან გაგივათ და ვისთან არა?

— ვატყობთ, ხმაზე და ხტომაზე.

— ეს პირდაპირ თავხედობაა! არც ხმაზე და არც ხტომაზე მე არაფერი არ მეტყობა. თქვენ კი, თუ საკუთარი ხმა არ გეყურებათ გრამაფონში ჩასძახეთ და შემდეგ დაუგდეთ ყური. სანახავს აი იქ დაინახავთ.

ბ-ნი ცენზორი არ დამრთავს ნებას, შემდეგი ჩვენი მუსაიფი თქვენს წინაშე განვაგრძო. ვერც გავამტყუნებ, რამეთუ ჩვენ მიერ აღებული კილო, პოლემიკისთვისაც გადაჭარბებულათ უნდა ჩაითვალოს, არა თუ მოთხრობისათვის.

საღამოს თერთმეტი საათი სრულდებოდა, როცა ორი დღის უძინარი და მიბნედილი, ვაგონში შევედი, ზემოთა თაროზე წამოვწექ. „უმცროსი ძმა სიკვდილისა“, ანუ ძილი კვალ და კვალ მიდარაჯებდა. ის იყო ჩამიკრა გულში და სიზმართა სამეფოში გადამიტანა, რომ მძლავრი ხელი ვიღაც ბაყ ბაყ მდევისა შეეხო ჩემს მხრებს, შემანჯღრია და მრისხანეთ ჩამძახა:

— ავჩალი ბილეთი! ავჩალი ბილეთი!

მყისვე ვიცან ჩემი მოკამათე კონდუქტორი. ვიცან და მის ხმაზე აშკარათ შევნიშნე ბოროტი განზრახულების კვალი.

— ინებეთ ბილეთი! როგორც ხედავთ სამტრედიაში მივდივარ. იმედია... ჩემი უკანასკნელი სიტყვები მას აღარ გაუგონია. „ავჩალის ბილეთი“-თ ჩაიარა მთელი ვაგონი. მართალი მოგახსენოთ, მის უკანასკნელ ძახილს ჩემამდისაც აღარ მოუხწევია. ძილმა თავი წამართო. ჩემს თავში ფრიად პუნდოვანი სიზმარი დაიბადა: თითქო მუთაქასქვეშ რაღაც საშიშარი აფეთქება მოხდა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა და თვალები გავახილე.

— ბილეთი მცხეთა! ყმაწვილო, ბილეთი მცხეთა! სრულიად უზრუნველისა და აუღელვებელი კილოთი ჩამძახის ჩემი ძველი ნაცნობი, ჩემი მოკამათე კონდუქტორი.

— აკი მოგახსენეთ, რომ სამტრედიაში მივდივარ. განა არ შეიძლება ყოველ წამში...

ის უკვე ათიოდ ნაბიჯით გამშორდა და ჩემი უკანასკნელი სიტყვები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, თუ შეიძლება ხალხით ამოშუშებულ ვაგონს უდაბნო ვუწოდოთ. „ბილეთი მცხეთა, ბილეთი მცხეთა“ ჩამძახოდა ყურში რაღაც იდუმალი ხმა და ნახევრათ მძინარემ, ქართველ ისტორიკოსთა მაგვარათ, თავი მივეცი ჩვენი ქვეყნის სიძველეთა მოგონებას.

— „ბილეთი მცხეთა“ ერთ დროს ჩვენი სატახტო ქალაქი იყო. ქართველი მეფეები აქ აწყობდენ თავის სამოქმედო გეგმებს. ქართველი კათალიკოსები აქ აღავლენდენ მხურვალე ლოცვას. აი, კიდევაც დაიგუგუნა სვეტიცხოვლის ზარმა და მეც უნებლიეთ თვალები ვაქყიტე.

— ქსანკა უკავო ესთ ბილეთი! ქსანკა ბილეთი!

გულმა გააფთრებული ცემა დამიწყო. მჭევრმეტყველობის უნარიც დამეკარგა. ჩემს ნაცნობს სახეზე ნიშანიც არ უკრთის სინდისის მხილებისა. გაჭკვის საჭირო სიტყვებს და განაგრძობს გზას.

მე ისევ მივწექი. განა კი შემეძლო ჯდომა, ... დგომა, თუნდაც ეგ დგომა ცდომა ყოფილიყო. ... ვიწექ და შკაფიოდ მესმოდა მრისხანე ხმა მატარებლის ბორბლებისა:

— დაჭკარი მაგ ოხერს!

— დაჭკარი მაგ ოხერს!

— დაჭკარი მაგ ოხერს!

მესმოდა და მამხნევებდა მისი შეუდრეკელი კილო.

დიახ, მე შური უნდა ვიძიო! არ შეიძლ...

მეყო ამდენი დამცირება. ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს უდანაშაულო ადამიანის ტანჯვას?

— დაჰკარი მაგ ოხერს!

— დაჰკარი მაგ ოხერს!

— დაჰკარი მაგ ოხერს!.ო უკანასკნელათ ჩამესმა მრისხანე შემოძახილი და მეტი ველარ მოვითმინე.

გააფთრებული წამოვარდი და დიდის გაჭივრებით მოვახერხე მარცხენა თვალის ცალი კუნჭულის გახელა. რომ ყურში ჩამესმა საზარელი ხმა:

— კასპი, კასპი ბილეთ!

არავინ დაიჯერებს ჩემი აღშფოთება სრულათ რომ ავსწერო. დღეს ადამიანთა მგრძნობიარობა მიჩლუნგებულია და ჩემს მდგომარეობაშიც თითქმის არავინ შესულა. გული ყელში მომებჯინა და კიდევ ერთი წვეთი შეურაცყოფისა კმაროდა, რომ იგი საბრალო სრულიად გადმოვარდნილიყო იატაკზე. უნებლიეთ ჯიბეში ხელი ჩავიყავ და პატარა დანა მოვსინჯე. ჯიბეში აღმოჩნდა. იმედი მომეცა. არასოდეს ადამიანის მოკვლა აზრად არ მომსვლია. ახლა ყველაფერი აქეთ მიმიწვევს.

— თუ კიდევ გამაღვიძა უთუოდ მოვკვლავ, ვფიქრობ ჩემს გუნებაში.—რა უყო მერე რომ წვრილშვილის პატრონია! განა მაგან დამინდო მე, რომ ჩემგან ითხოვს შებრალებას? არა, არა! შორს ლაჩრული გულჩვილობა და სიბრალული! დანა მოვიმარჯვე. ღმერთო ჩემო, რა ძნელია ადამიანის გამეტება, თუნდაც ის შენი მოსისხლე, დაუძინებელი მტერი, თუნდაც ის კონდუქტორი იყოს. „დაუძინებელი“! გესმით, დაუძინებელი! მე დღეს გავიგე რას ნიშნავს „დაუძინებელი“ მტერი. არა, ის უნდა მოკვდეს. ეყოს რაც შერჩა! აი კიდევაც მოდის... დამაცა, დამაცა ერთი! მპყრობელო ჯოჯოხეთისა! ეგ რა ვქენი! მოკვდა საწყალი! პოლიცია! მე არსაც გავრბივარ! კონდახით ცემა, განა რისთვის, რისთვის?

მუხლის თვალში ბილეთის სახვრეტი რკინის მანქანა მომხვდა და დაფეთებული წამოვიჭერ.

— გრაკალი ბილეთ! ვი კუდა იდიოშ!

აწერა არ შემიძლია ჩემი აღშფოთებისა. კიდევაც ავწერო ვინ დაგვიჯერებს. ბილეთი შიგ თვალებში ვკარი ჩემს მტანჯველს. იმან არხეინათ ახედ-დახედა და მშვიდობიანათ განაცხადა:

— აჰაა, სამტრედია ზნაჩიტ!

უფლის ციხეში მან ნიკაპზე მტაცა ხელი და კბილის ექიმსავით მიმანჭლრ-მომანჭლრია. არ ვიცი რა მანქანებით შერჩა თავი კისერს, ან თავს დალურჯებული ყბა. გაღვიძებით კი გამომაღვიძა. გორის მახლობლათ ცხვირზე მტაცა ხელი და თუ დროზე არ წამომხტარიყავ, დარწმუნებული ვარ, ერთად ერთი მოსაწონი ორგანო ჩემი სახისა ღღეს აღარ იქნებოდა.

სადგურ სკრასთან ჩემმა დაუძინებელმა მტერმა ხერხი იხმარა და ვიღაც სტუდენტი მოგზავნა, ვითომ კანტროლიაო და იმასაც გაასინჯა ჩემი მრავალ-ტანჯული ბილეთი.

ქარულში ვიღაც საიდუმლო პირს დაუწყეს ძებნა და ჯარისკაცებმა ჩამომახტუნეს ძირს. ვხედავდი, თუ რა ჯოჯოხეთური ღიმი უკრთოდა სახეზე ჩემს მოსისხლეს. მაგრამ რას ვიზამდი. ვუცდიდი მომენტს სამაგიერო გადამეხადა.

ხაშურში იგი უჩვეულო თავაზით შემეკითხა:

— თქვენ ვგონებ ბორჯომში მიბრძანდებით. გვიბოძეთ თქვენი ბილეთი!

ბილეთი მყისვე გადავეცი და თავაზიანი კილოთივე ვუპასუხე:

— არა, ბატონო ჩემო, მე სამტრედიაში გეახლებით, აუცილებელი საქმე მაქვს. გმადლობთ გაფრთხილებისათვის.

გულში კი ვფიქრობ:—მოიცა შე საზიზღარო, ისეთი საქმე გიქნა, რომ საკუთარი ხელით იგლეჯდე წვერ-ულვაშს. დამაცა, დამაცა! ის იყო მატარებელი აიძრა, არავის ეშვი არა ჰქონია, მე ფრთხილად გავაღე კარები, ჩამოვხტი და იქვე ორთქლმავალს მივეფარე.

მატარეჩელი გაჰქრა. თავისუფლათ ამოვისუნთქე და ერთი გულიანად გადვიხარხარე.

— მიბრძანდი და ჩამძახე შე საზიზღარო, ჩამძახე—ბილეთი ვარვარინა! ციპა ბილეთი! აბა მიბრძანდი!

წარმოდგენილი მაქვს მისი მწუხარე სახე, როცა აღნიშნულ თაროზე ველარ მნახავს, ან შეცდომით სხვას გააღვიძებს.

ეშმაკი.



ლ ო თ ი

(იგავი)

ონისიმესი

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ იბეჭდება.

გამოცანა

(ჭიოურისათვის)

თავფუტურო, ინდაური,
ჩერჩეტი და სულელია.
საბჭოს მოსამსახურეა.
თუ მიხვდებით რომელია?

—

ჯიბით დააქვს მუდამ კარტი,
და სასტუმლად ყდევს ნარდი,
ამ პირშავმა „რეჩი“ იცის,
კრებაზეა დარდიმანდი.

—

ლოღიკური დასკვნა ღმერთმა,
მოგცეთ ყველას ამისთანა,
შუა „რეჩში“ აუტყდება
ცხვირისა და თავის ფხანა.

—

თითს მიიჭერს თვალის ძირში,
ზლაზვნით ზეზე წამოდგება
და მოშლილი წისქვილივით,
როშავს რაც პირს მოადგება.

—

მთელი კრების კლოუნია,
მასხარა და ქერქეტია,
მაგრამ... კმარა, მასზე წერა
აფსუსი და ზედ მეტია.

ბითური.

ნაბახტევში



ქართველ ხელოვანთა საზოგადოება ენერგიულათ შეუდგა საქმეს. ნაბახტევის ეკლესიის ნანგრევებზე ამ სიცხე-პაპანაქებაში მუშაობენ ჩვენი საუკეთესო მხატვრები.

საშიშარი დრამა

(ყურმოკრული ანეგდოტი ცხენში განაგონი)

ბანკის ერთ გამგსე ცნობა მოუვიდა: „რევიზია“ იქნება და ყველაფერი რიგზე გქონდესო. გამგეც დატრიალდა. შეუდგა წიგნებისა და კასის შემოწმებას... დათვალა ფულები, აკლია, კიდევ დათვალა, მეტია. დათვალა აკლია... ერთი სიტყვით არ იქნა და არა, კასა ვერ შეამოწმა, დავთრებს ვერ შეუდარა და ვერა... დიდი ხნის ჭაპან წყვეტისა და ჭირის ოფლთა წმენდის შემდეგ იფიქრა: ალბათ აქ ხელს მიშლიან, დალაგებით შრომა ვერ შევძელ, მოდი ფულებსაც და წიგნებსაც სახლში წავიღებ და ჩემს კაბინეტში ვიმუშავებო. ასეც მოიქცა: შემოსავალ-გასავლის დავთრები და დასტა-დასტათ შეკრული ასიგნაციები სახლში წაიღო.

შეუდგა შრომას. ეწვალება, ხან წიგნებს ფურცლავს, ხან ასიგნაციებს თვლის. ზამთარია, ბუხარში ცეცხლს საამო გუზგუზი გააქვს... ოთახში ბანკის გამგის ერთად ერთი ოთხი წლის ბიჭუნა შემოვიდა, მისი შემოსვლა მუშაობით გატაცებულმა მამამ ვერ გაიგო, იგი ამ დროს ბანკის წიგნებს ჩასციებოდა... ცელქმა ბიჭუნამ დრო იშოვნა და ასიგნაციების დასტებს აგიზგიზებულ ბუხარში შეუძახა... მამამ წიგნებს ხელი უშვა, უნდა ახლა ფულები დათვალოს... ასიგნაციები ვეღარ ნახა... შეწუხდა, მიიხედ მოიხედა, ხედავს ასიგნაციების დასტები ბუხარში იწვის და ბავშვი სიამოვნებით იღიმება სანახაობით. გამგეს თვალ-წინ წარმოუდგა: გაკოტრება, დამცირება, პასუხის გება, ციხე, შიმშილი. მთელი მისი არსება სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

— შენ ხომ დასწვი ჩემი ცხოვრება მაშ შენც დაიწვი, შე ლაწირაკო შენა! გააფთრებით შესძახა მამამ და შვილი მოგიზგიზე ბუხარში შეაგდო... შვილის საცოდავმა კივილმა მთლად მოშალა... გადასწყვიტა თავის მოკვლა. კედლიდან ხანჯალი ჩამოიღო, ის ის იყო გულში უნდა ჩაეკრა და თავი მოეკლა, რომ ცოლმა ხანჯალს ხელი უტაცა...

ბანკის გამგეს გაეღვიძა...

ალ. წ—ძე.

დეპეშები.

(ბუტუნას სააგენტო)

მოხსენება მის აღმატებულებას ჯოჯოხეთის სამეფოს სასულიერო უწყების გამგე ბ-ნ მ ხ ი ფ ა ვ ს.

წავიკითხე რა თქვენი განცხადება, ჩვენს უწყებაში ბოროტ მოქმედებათა კვლევა-ძიების შესახებ და მიმაჩნია რა აღნიშნულ უწყებაში აუცილებელ საჭიროთ თქვენი მოღვაწეობა, ვცდილობ ხელი შეუწყო თქვენი მოღვაწეობის ნაყოფიერებას და ვკისრულობ საჭირო და სიმართლეზე დამყარებულ ცნობების მოწოდებას თქვენდამი, რასაც ამ ხანათ ვიწყებ სენაკის რაიონიდან.

განქიქება სასულიერო სკოლის არქივისა მას ჟამსა შინა გვაჩვენებს შემდეგ დადგენილებას: „ჩვენ მამანი და ძმანი ამა სკოლისა აღმზრდელნი და მასწავლებელნი მოწაფეთა სწავლათ კეთილასა შამოვრკბით საბჭოსა შინა ბჭობასა ზედა ბრალდებისა ღირსისა მამისა და უღირსესის პედაგოგისა ქართულსა შინა, რომელმან მოწაფეთა თვისთა თვინიერ სავალდებულო საგნისა შეასწავლა და შეაყვარა „აღმოსავლეთური“ ზნე ჩვეულება და ნაცვლათ სულიერისა ხორციელი კავშირი და სიყვარული, რომელი არს მოწაფეთა შინა და მამა მასწავლებელსა ზედა, რისთვისაც შიშითა ღვთისათა და სიყვარულითა სარწმუნოებისა ვადგენთ ექსორიასა პედაგოგისა ამის სკოლისაგან ჩვენისა ამინ“.

დაინტერესებულმან ცნობის მოყვარეობითა შეუდექ კვალსა ექსორია ქმნილ მამისა, რომელმან მიმაგდო ერთ მივარდნილ სოფელსა ზედა და მრევლსა შინა, სადა მამასა ამას დაუყვია მცირედი ჟამნი და დავიწყებას მისცემია წარსული „მოღვაწეობა“ მისი, ხოლო აქედან ჟამსა მდგომარესა გადაყვანილ არს ადგილსა მის ახალს საპატიოსა ზედა ღვთის მსახურებათ მრევლსა შინა, ხოლო დიაკვნათ მოძღვარსა ამას მიუწვევია მისივე ძველი ნამოწაფვარი ჟამსა პედაგოგობისასა ექსორიასა შინა, რომელნი ერთად აღავლენენ ღაღადს უფლისა მიმართ მრევლისა ზედა. ვაახლებ რა ამ მოხსენებას მართლმსაჯულებასა თქვენსა, ვითხოვ მოახდინოთ სასტიკი გამოძიება ამ ჟამიერი მისი მოღვაწეობისა, რითაც იმედი მაქვს ერთი საპატიო წევრი კვლავ შეემატება აპარატ „გონვედის“.

დავშთებით მარად თქვენი მორჩილი და თანამშრომელი ამ უწყებასა შინა **კურმუხეთელი.**

ფოთი. „მხიფავის გამგეობამ დაამტკიცა რომ

საზოგადო მოღვაწეთა პანაშვიდი ხუცების პარტიისათვის უსასყიდლოა, ხოლო სხვა მიმართულების მიცვალებულზე, თუნდაც ცნობილ საზოგადო მოღვაწისაც მაშინაც კი როცა ეფისკობოზი უსასყიდლოდ და პატივისცემით ასრულებს ყოველივე ამას მისი კრებული ჩვეულებრივ სასყიდელს თანხმდება.

პატარა ფოთიდან იგივე „მხიფავი“ იტყობინება: საქორქიოს ეკლესიაზე მოხდა მღვდელსა და დიაკვანს შორის შეტაკება. პირველათ სძლია დიაკონმა და ის იყო უნდა გაეგდო ეკლესიიდან მღვდელი—მღვდელმაც მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და გადავიდა კონტრ ერიშზე, რითაც დიაკვანი ფოთამდის ჩამოდენა და ბლაღოჩინის სიმაგრეში შეამწყვდია. ბლაღოჩინმა როცა გაიგო ბრძოლისა და დიაკვნის აზრი, დიაკვანი გაგდო თავის სიმაგრიდან. ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე, რომ დიპლომატების საშვალებით ზავი არ ჩამოვარდნილიყო. მღვდელმა მიიღო შესაფერი კომპენსაცია.

—

ველისციხე. ამ თვის 12-ში ველისციხის ბანკის წევრთა კრება იყო. კრებამ დაიწყო თუ არა თავმჯდომარის ამორჩევა, სრულიად მოწმენდილს ცაზე მოსჰქდა „უგუნურების შავი“ ნიაღვარი და კრება დაიშალა.

იქიდანვე. ამავე კრების შესახებ ბოროტი პირები მოულოდნელს „უგუნურების შავს“ ნიაღვარს სულ სხვანაირათ ემდურებიან და თანაც ამბობენ: „ის ოხრათ დარჩენილი ნიაღვარი რომ არ მოხირებულიყო, ველისციხელები ბევრს არა მისაბაძ და „მაიმუნურს“ მასხარობას გვიჩვენებდნენ, მაგრამ უამინდობამ საერთოთ ყველას შეგვიშალა ხელიო.

იქიდანვე. ხალხში ავრცელებენ, რომ ველისციხის სახელგანთქმულ ბანკში მარკ ტვენის „დაკარგული თეთრი სპილოებიც“ აღმოუჩენიათო. ველისციხის ბანკისი „თეთრ სპილოებს“ შაბიამანი უყლაპნიათ და ზედ გულის გასაგრილებლათ რამდენიმე გოგირდით სავსე ტომრებიც მიურთმევიათ.

იქიდანვე. არა სცხრებიან ველისციხელები და კიდევ ახირებულ ამბავსა გვწერავენ: ველისციხის ბანკის გამგეობას თურმე, ზედამხედველ კომიტეტის წევრთა შეუტყობინებლათ გადაუწყვეტია: არმავირში რომ 21 ვაგონი პური დარჩათ და აუარებელ წინდაუხედველ მიზეზების გამო ვერ მოიტანეს, წრეევანდელი ნოტიო ამინდის გამო თურმე უმშვენიერეს ყანად გადაქცეულა, ამისათვის საკუთარი სამი სამკელი მაშინა, შეგშაბმული ყევარ-ყევარი კამეჩებით და თან გაყოლონ პირველს მეხრეთ ბანკის მთავარი ტეხნიკაღები.

ეს კი სწორეთ მოგახსენოთ ჭკუასთან ახლოს.

უცნობი აგენტი.

—

ს მელო. აღმოვაჩინე ჯოჯოხეთი ამ ქვეყნად. ამიერიდან საჯოჯოხეთო პირებს აქეთ გამოგზავნით. დაწვრილებით შემდეგ.

კვახი.

ხონის ამბები.

პარასკევის მათხოვრები.

— პარასკევია თქვა,—მომიყვა სიმონა ხარაზ და მამლის ყივილზე მევირბინე დუქანში. ავყარ ბიქები. ვფიქრობ პარკობაა და ღმერთო შენი იქნება რამე წევივაჭრო თქვა. დუქნის წინ პატ ტყავის ნაკუწები ეყარა და ღმერთს სიმართ უყვარს, რაცხა ნეხვიც, მარა რა ვიცოდი, მიდ ჩი არ დახვეტილა და დღეს თუ დოუწყებდენ წ დას. ევიფარე ფესტუმალი, და უნდა მიუჯდე ... გას, შემოყო თავი პავლია დესეტნიკმა და მიყვი

— ეს ნეხვი გაწმინდე, დღეს ღუბერნატო ბობრძანდებაო. ყვირილი შემომესმა. გამევიხ ივანე ბესელია კამანდრობდა, გაწმინდეთ ქუჩებ მევიდა ჩემთან და მიყვირა—შეაგროვე ნაკელ მეც შეუყვირე, მარა სანამდე ორი თითო აბაზ ჭიქა ღვინო არ ჩეიხა აბელე უფლავას დუქან მანამდი არ აწმინდა ჩემს წინ შეგროვილი ნაგ

გადავრჩი მეგონა ბესელიას და დესეტნ ღრიტინს, რომ ფცეგ ატყდა სისტოკები და ... ბების რიხინ-რიხინი.

— დაკეტეთ ყველამ, კანცელარიაში მაზ ყრილობაა, ყვირიდა ხეისთავი. ორ საათზე ...

ჩაგვამწყვდიეს კანცელარიაში და გვაგდებიეს ყური გიგო ჭავჭანიძის და ერისტო ჭავჭანიძის რეჩებიზა. შვადღემდე სიფთა არ მინახავს! მომადგა ჩამოღლეტილი და გაბუძგული მათხოვარი:

— გირისტიანი, ქირისტიანი, შენი შეიცხალე, ღირისტიანი...რას ვუზამ, ევიღე და ვაჩუქე კაპიკი. მილეთი ხალხი დაბუზურობს, ქალები ხომ თლათ დაკუდნულ ვარიებივით არიენ—უკანიდან ვერც ბებერს და ვერც ახალგაზდას ვერ გაარჩევ.

შამევიდა ნიკიფორე ჩხინკელი, მუშთარი მოიყვანა მეგონა. თურმე ვინცხა ლოთი ხეისთავი ჩამხვჩვალა ჭაში და იმის ცოლშვილიზა აგროვებს ფულებს. გაგონილი კი მაქ ეშმაკი კაციაო, მარა ამის ტყულს რავა იკადრებს თქვა ვიფიქრე და ხმა ამოუღებლივ მივეცი ათი შაური.

აგი მევიცილე, შემოვიდა ვასოიე მეჟესთე—გაკვირვებული შევხედე, ტკბილათ დამიწყო.

— ხომ იცი აქანე, რომ ჭაი ამოვწმინდეთ 7 მანათამდი დეგვეხარჯა და პეტერე რაცხა შეგვეწიეო, რანაირი საჭიროა კარქათ იცი...

მართალი გითხრა თითბრის მუშთას დავკრამდი თავში, რომ ამ სიცხეებში წყალი არ მჭიროდეს. მივეცი ექვსი შაური. გადვრიე კაცი, მომაწვა გული ყორყინტაში, რა ვქნა არ ვიცი ქვეყნის თითებ გარმოყრილ წუღებიანს ვხედავ, მარა ჩემსკენ როგორც არ დაგკლავ, არავინ იხედება. უცებ შემოვიდა ჩემსავით ჩამოკინკული ლეჩხუმელი და მომთხოვა:

— შენი ჭირიმე კამბეჩის ტყავი არ იქნეს და არც სარჩულიანი იყოს.

— დავფაცურდი ვალაგე და ვაჩვენე—უკანასკნელი 40 რწყვილი მაინც დაიზომა, მარა ზოგი ინწრო შეექნა, ზოგი დიდი, ზოგი გძელი, ზოგი ფეხის ძრუგში უჭირებდა. ერთი სიტყვით გავწამდი და ბოლოს რავარც იყო შეჩერდა ერთ წუღაზე. დეივწყეთ ვაჭრობა. ღღეს ბაღნის წუღა სამი მანათი თვითან მიჯდება. დოუფასე ექვსი მანათი. რაღმე გადირია.

სულ ფეხშველა ვიარ და წუღაში მაგდენს არ გადვიხდი. ბევრი ვეღრიტინე, მარა იმ ჩემი ცოდვით სავსემ რომ მიაბიჯა თორმეტ აბაზს ფეხი, ნძრაი არ ქნა. დოუთმე. დეეწვა გაჩენა, სულ ერთშაურიანი და სამ-სამ კაპიკიანები ქონია და ისე მოარაპატა ამ გროშის სიძვირეში დაზგა—თორმეტი აბაზი კარა, ხუთ თუმნათ მოგეჩვენებოდა.

ვფიქრობ—რამდენ ზარალში გავყიდე რომ სიფთა მენახათქვა—შემოვიდენ: ჯერე ჩვენი ბესო ნადარეიშვილი და თურმე ნუ იტყვი იმას უკან შემოზდიეს გემლაზიის დალეხტორმა, მათე დოხტურმა, მისმა ცოლმა, ჩხინკელი დოხთურის ცოლმა, ლუკა სანოძემ და გონია კარქათ არ ვიცნობ ნადარეიშვილის რძალმა. ყველე მოწიწებით შემეგებენ, ვითამ დიდი ნაცნობები იყვენ ისე ჩამომართვენ ხელი. როისმე მონახავს ანც ერთი ჩემს დუქანში? ან რამე კაპიკის ხეირი მოუციენ ჩემთვის? კაცებმა გარეიღლიტენ თავზე ქუდები და მოტირალივით დამადგენ თავზე.

— „ვსთქვათ სიტყვაში", დამიწყო ბესომ, ჩემო სიმონ, ვითამ, როგორც მოგეხსენება, ვფიქრობთ მარინსკის კლასის ქალების ღემლაზიათ გადაკეთებას თქვა და, ვსთქვათ სიტყვაში, ამისანე კარგ საქმიზა ვითამ, ვსთქვათ, ერთი ხუთი მანათი ნუ შეგვარცხვენ და დაგვეხმარე. ვაჭრობა, ღმერმთა მოგცეს კარგი გქონია, ამდენი ხურდა საცხა კი გაქ, ვსთქვათ სიტყვაში, იქინე ქაღალდი მეტი იქნება და აბა ნუ გაგვაჩერებ.

რომ არ მინახავს იმისთანბ მათხოვრები არიენ სწორებით. კაკალ გულს ვასკდები, მარა ვარის თქმას რომ ვერ ვბედავ. ღენერალი და მისი ცოლები ყველე თავზე დამადგენ და რას ვიზამ სადაური ეპრავა მაგენია ვერ გევიგე, რომ ტაქციას მინიშნავენ ამდენი და ამდენე მოგვეციო. შევყევი ვაჭრობას, მარა მემეშვენ?

— ხუთი მანეთი უკანასკნელია.

ვიფიქრე, დავაბრიალო ხელკეტა და გავდენო ეს მოძალე მათხოვრები მეთქი, მარა ვერ გავბედე... ამევიღე სხვაზე გარასაცემათ მოსულ ფულიდან ხუთი მანათი, და მივაპერტყე თვალებში.

ამისანა ბარაქა შევიდა თქვენს ოჯახში მე რომ დღეს ბარაქიანი პარასკეობა მაქ თქვა, მივაძახე ჩუმათ, თუ გეიგონეს.

ქოპინიე ჩხუტაძე.

კომისია საქმეს შეუდგა!

ქალაქს გამგეობა ძლიერ შეაფიქრიანა უწყლობამ. მყისვე არჩეულ იქმნა „საწყლო კომისია“, რომელიც ენერგიულად შეუდგა საქმეს.

ბათუმი

შეშლილის ლექსები.

ოჰო, ვოჰო, საჯავოხო,
რა ყოფილა, ხო,ხო,ხო,ხო!
ბეჟანა და ქაიხოსრო!
გაგიხმა თქვენ თავის კოსრო!!!

—

ოდელია დელი დელა,
ვიში ერთი ხათაბელა,
ადგილს ვეძებ. სადაც ბნელა.
მიველ ვნახე... იჯდა შელა.
საქმე ერთობ გაძნელა,
შევეხვეწე... ჩაახველა
ასი მქონდეს, (მითხრა ნელა)
მე ადგილი, არ მსურს შველა
ერთს არ. მოგცემ, გასქდეს ყველა

—

გადის დრო და წელიწადი.
ახლა მიველ. იჯდა ყადი.
(როს გაძვირდა, მაშინ, მჭადი).
დაველრიჯე. ვთქვი: გავმწარდი,
ადგილი გაქვს, ნუ დამზარდი,
ვიცი ჩემი შესაფარდი.
და მომეცი. არ მყავს ნადი,
შეგეხვეწოს, დანამზადი.

მითხრა: კიო, ადე, წადი,
და მიბოძა... იკითხ ცხადი
მაჩვის კუდი განახადი...
რა ვქნა, არვის შეუყვარდი.

—

ანი, ბანი, განი, დინი.
აღზრდის საქმე დასაღონი.
აქ ბათლომთან განაგონი,
შეგირდები მუნ ამდონი
გარუსების საქმე, მგონი
კაცი ამის გამომგონი
ბატონიდან თავნაქონი
სამშობლოა მისი ონი,
ან სენაკი და ან ხონი.
ყვათელ ქუდში თავ ნარგონი.
არ ყავს კაცი მუნ პატრონი,
არც მუშტები მომაგრონი.
ვაი დრონი, დრონი, დრონი.

ფან-ჯუ-სე.

უკვდავების წყაროსთან სამზვარეულოში.



„ოჩერედი“.

პირველი მიდის ოჯახის მამა
და დიასახლისს ეგ არ იამა.
მართალი გახლავთ, მას უყვარს ქმარი,
მაგრამ უწყლობა გულ შესაზარი
თვით საყვარელსაც კი დაგავიწყებს...
ჩუ, კრან ბუუბუყებს, სჩანს დენას იწყებს!
ამაოდ! მისწყდა! გაუწყრა ღმერთი
არ ჩამოვარდა ნამი არც ერთი.
და კვლავ ჭიქებით აღტურვილები
მშობლებს ებრძვიან ნორჩი შვილები...
კვლავ აბუუბუყდა! კვალად დაწყნარდა
წვეთი კი მაინც არ ჩამოვარდა!
შეიქნა ბრძოლა პირველობისა,
მსურველი არ სჩანს კვლავ დათმობისა.
და ამ კამათმა სამ დღეს იმეფა...
ბოლოს ფინიამც კი დაიყეფა.

წერილი ეშმაკისადმი.

(ᲯᲘᲐᲗᲣᲠᲘᲓᲐᲜ)

ოღონდაც, ჯოჯოხეთის არისტოკრატები გრძელი წერილებით თავს არ უნდა ვიწუხებდეთ, დეპეშებითაც იოლათ მივდიოდეთ, მაგრამ... რაო? სიძუნწემ ხომ არ მომიარა? შენც არ მომიკვდე, რა სათქმელია, ვაჟო, რაღაც შვიდი კაპეიკი სიტყვაში. მაგრამ ისაა რომ ახლა დეპეშას კახეთის რკინის გზის მატარებელიც კი უსწრებს.

აი, ამბავი ჩემი მეზობელისა. შვილი ყავდა, ბოშო, მაგ თქვენ ქალაქში, რასაკვირველია პრაპორჩიკათ. თვითონ ავათ გახდა. ადგა და დეპეშა გამოუგზანა: — „Умираю пріѣзжай“-ო გამოგზანა და უცდის. გავიდა თვე, ორი... ავათმყოფი კაი ხანია ზეზე წამოდგა. ბოლოს ეჰვი შეუვიდა: “ი ბიჭს არაფერი სტკიოდეს“-ო და თითონ წამოვიდა ქალაქში. თურმე, ნუ იტყვი თფილისში ჩასვლის მესამე დღეს თითონ მიიღო შვილის ბინაზე მისი გაგზავნილი დეპეშა. მართალია ჩემი უკანასკნელი დეპეშები შენ ორ კვირაში მიგიღია, მაგრამ არც ორი კვირის ლოდინი მსურს და ამიტომ წერილითა გწერ.

სამი დღეა სოფლათ დავეხეტები. მინდოდა ჩემი თვალით მენახა: მართლა შიმშილობაა სოფლათ, თუ ჩვეულებრივ უსაქმურთა განგაშია ატეხილი. აკი შარშანაც ყურები გამოგვიქედეს გაზეთებმა: შიმშილობაა, შიმშილობაო და რომ ბედზე ქართველებს **კიტა** არ ყოლოდა, მთელ ღუნიაზე თავი მოგვეჭრებოდა. ვიღაც დასელებმა კინალამ რუსეთს მისწერეს გვშიაო.

ვიფიქრე, წელსაც ასე იქნება, მეთქი და... გავწიე სოფლათ.

ისევეც ყველაფერი ბოროტი აგიხდება, ეშმაკო, მე ჩემი ეჰვი ამიხდა: რა შიმშილი, რის შიმშილი! პირიქით, იმდენი ბალახი ფუქდება იქ ოხრათ, იმდენი ბალახი რომა! უკაცობით საძოვარი ადგილები ერთი ორათ გამრავლებულა, ხარებიც აღარსად არის, რომ მოაძოვონ (ამბობენ პრიზივი ჰქონდათო) და ის ორიოდე ძროხა, რომლებიც ჯერ არ დაუკლავთ, რამდენს მოძოვენ? და ლპება ბალახი, ქორფა ბალახი! ხოლო ვიღაცეები კი გვაყრუებენ სოფელს საქმელი არაფერი აქვსო. ასე რომ ყოფილიყო განა ქართული საზოგადოებები საქმელებს ვერ გამოგვიგზავნიდენ?! „სულ რაღაც ორიოდე დღეში ბაქოს ქართველებმა ორი მილიონი მანათი მოაგროვეს“-ო ვიღაცა სპარსელებისთვის ნავთის ჭაობის გასაწმენდათ და განა ჩვენთვის, ქართველი ხალხისათვის, სულს კი დეიშურებდენ? რის შიმშილი, რა შიმშილი!

ბევრი ვიხეტიალე მაგრამ უსაქმელობა ვერსად შევამჩნიე: ბალახი ყველგან ბევრია. ვიფიქრე, — გლეხი ეშმაკია, განგებ იძახის მშიაო და ღამე ალბათ არხეინათ შეექცევა ბალახს მეთქი. და გადავწყვიტე მიდარაჯება. წავედი სოფელს გარეთ და ერთ გორაზე ხურგში დავიმალე. დაღამდა. ვიღაცებმა იწყეს დენა ჩემს ახლო, დიდი მუხის ქვეშ. ვიფიქრე: — ძველი „ერთობა“ მობრუნებულა, ალბათ სუტენტი ილაპარაკებს მეთქი და სიხარულით გული ამიტოკდა. ახლოს მივჩოჩდი. ამას რას ვხედავ? ყველას ან მენდალი, ან ჯაჭვი და სხვა ასეთი ნიშნები აქვს. ვიცანი სოფლის მამასახლისები და მათი თანაშემწენი. ახლავთ მწერლებიც. გავნაბე სული. ჩქარა კრებაც გაიხსნა. ოავმჯდომარეთ აირჩიეს ერთი დიდ ულვაშებიანი, ღიპჩამოშვებული მამასახლისი, მდივნათ მოსე მწერალი № 1001. მოხსენება რიჟა მამასახლისმა დაიწყო.

— ამხანაგებო!.. ამის თქმა და ალიაქოთი ერთი იყო: „რა ამხანაგებო, რის ამხანაგებო, აქ სოციალისტები ხომ არ შევყრილვართ“-ო. მომხსენებელმა ბოდიში მოიხადა. „ძველათ მუშების თავმდგმურათ ვიყავი და ისე ვამბობდი ხოლმე“-ო კრებაზე ყველა ერთსა და იგივეს მოსთქვამდა:

— დავიღუპეთ, ოცისთავები დაგვიყენეს, სოფლის დუმას თავისუფლათ ველარ მოვთლითო.

ზოგს ისიც აშინებდა, ვაი თუ ოცის თავებმა ძველი ცოდვების გამოჩხრეკაც დაიწყონო.

ზოგი კიდევ იმას წუხდა, რომ მომავალში აღების იმედით ფული ვისესხე და რიღათი გავისტუმროვო და სხვა. ერთმა ქოსა მამასახლისმა სცადა ნუგეში: — „კაცო რამ შეგაშინათ, სოფელი დაცლილი იყო ცოცხლებისაგან და ოცის თავებათ ისეთები გავიდენ, რომლებიც უფრო სათლელიც არის ვიდრე ყრილობა“-ო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თითო ოროლა „ბუნტი“ კიდევ გამორეულიყო აქა იქ და ეგეც საკმაოა ჩვენ დასამსებათო, ამბობდენ ერთხმათ და წამალს ეძებდენ. ბოლოს ყველა იმ აზრს დაადგა, რომ ეხლავ გამოიკვლიონ ვინ არის ბნელი საქმეების მოწინააღმდეგე და გაიგზანოს მათზე დანოსები სადაც ჯერ არს, რომ ისინი „ბუნ-

ტებია“, რომ ისინი ჩხეიძეს და თვითონ ნოე ჟორ-დანიასაც იცნობენ და სხვა და სხვა...

რომ იცოდე როგორ ვაგინე თავი თვისი, ეშმაკო, იმისგამო, რომ შენსავით მათრახს არ ვა-ტარებ. აბა სისულელე: ამდენი მამასახლისების კრებაზე კაცი მათრახს ნატრობდეს? დავავლე ხელი თავმჯდომარის გვერდზე დებულ მსხვილ მათრახს, რომელიც გლეხებზე ცემით ოდნავ დარბილებულიყო, და...

გავფანტე რა კრებული, პირი ვიბრუნე სახ-ლისკენ. უკვე ღამის მეორე საათი იქნებოდა, რო-ცა ჭიათურაში ჩამოვედი. როცა ზედა ხიდს დაუ-ახლოვდი. ხიდის ყურში ორი მოჩვენება შევნიშნე. აბა ჯოჯოხეთის მსახურს რა შეაშინებს, მაგრამ რაღაც გული მეუბნებოდა: „ამ დროს აქ კეთილი სული არ იქნება, გვერდი აუხვიე“-ო მეც ფეხ აკრეფით და პირ არიდებით გაუყევი გზას... ჩუ! ეს რა მესმის! „თქვენ მხოლოდ შეიკრიბეთ, თქვენ მხოლოდ რაც შეძლება მეტი მუშა მოიყვანეთ და მე საბუთებით ხელში მოვალ... მე გაგაგებინებთ, თუ რა ბოროტება ხდება რედაქციაში. გარდა იმი-სა, რომ მილიონობით მუშის შრომა (კორესპო-დენციები) ნაგავს მიყვება, ასი ათასობით ფულებია გაფლანგული. რედაქტორები ასჯერ ჭამენ დღეში, პირს შამპანსკით იბანენ, სარედაქციო ოთახს ფარ-ჩის ჩვრებით წმენდენ, კიბეზე ავტომობილებით დაიარებიან...

ბიჭოს, ეს ვინ არის? მიველ ახლოს... აჰაა, ბ. ლაყბაძეა, ავადმყოფ ინტრიგონეს საექიმოთ გა-მოწერილი.

— ააა, გამარჯობა ბ. ისემკრაგითხრა, სად ბრძანებულხართ ასეთ დროს? მომმართა ექიმმა ლაყბაძემ.

— თითონ შენ რას აკეთებ ამ დროს ხიდზე?

— მე... ისე... აი ეს ნაცნობი მუშა შემხვდა და ვემუსაიფებოდი.

ამ დროს „ნაცნობმა“ მუშამ დრო იხელთა და თავი იხსნა ლაყბაძისაგან, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, მხოლოდ იმერული თავაზიანობით ეს-მენდა.

— ერთი მითხარი, რაზე ელაპარაკებოდი მაგ შენ „ნაცნობ“ მუშას? ნუ თუ...

— უკაცრავათ, ბ. ისემკრაგითხრა, ალბათ გეუცხოვათ ასეთი უცნაური ჭორები, არა? რასაკ-ვირველია, რასაკვირველია, მაგრამ ეს ჭორები ჩემ-თვის, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჩემი პაციენტისათვის აუცილებელია: ამით მე ვწამლობ ჩემ ავადმყოფ ინტრიგონეს. მართალია ეს ჭორები ცოტა ყარს, მაგრამ რა ვქნა: სხვა წამალი მას არა რგებს.

— დიახ, უხეირო წამალი აგირჩევიათ მეგობ-რის გასაკურნებლათ ბ. ჩემო. მითხარით მაინც, როგორაა თქვენი ავადმყოფი?

— ჩვეულებრივ გლახათ. განსაკუთრებით უძილობა აწუხებს: აი ეხლაც შუა ხიდზე დარა-ჯობს, რომ ვინმესთან ჭორებში გაერთოს. რა ქნას, არ ეძინება. წასულ კვირაში კარგათ იყო: ხართი-შვილის წერილმა არგო, მაგრამ მერე უარესიც მოუვიდა, რადგან ეჭვი შეეპარა: პირველობა არ ჩამომართვასო, აგრეთვე გული მოდის იმაზედაც, რომ ეს მასალა ხართიშვილმა „საქართველოს“-თვის გაიმეტა და მისი გაზეთის გამოსვლას არ მოუცადა.

— როგორ, ინტრიგონე ჩივანაშვილი გაზეთს სცემს?

— დიახ. ჩვენ, მის მეგობრებს, გვინდა ეს უკანასკნელი საცადიც ვცადოთ მის მოსარჩენათ და თუ არც მან აგრო...

თენდებოდა. დამეზარა დიასახლისის გაღვიძე-ბა. და დავიწყე ქუჩა-ქუჩა ხეტიალი. მეურმეებს უკვე პირველი გზობა ჩამოეტანათ და სასწორების-კენ მიეშურებოდენ. თან გაფიცვაზე და ხაზეინთა ოინებზე ლაპარაკობდენ. სულ ისაევისა და გამრე-კელოვის ხსენებაში იყვენ. ვიფიქრე, მოდი ერთი ამ გამრეკელოვს ვინახულებ და პირადათ გამოვ-კითხავ: რას დაძვრებოდენ ისა და ისაევი გაფიცვის დროს პოლიციაში? იქნებ ისინი მეურმეების ძვირს კი არა, მათ მხარს იჭერდენ და ეს უმადური მეურმეები ცილსა სწამებენ მეთქი და გავეშურე ალექსანდრეს სახლისკენ.

ბ. მამულიშვილი ჯერ არ აბძანებულიყო, მაგრამ მის ეზოში ბუზივით ირეოდა ხალხი. ყველა მათგანი თხოვნების დასაწერათ მოსულიყო: ზოგი ადგილობრივ მასწავლებელს უჩიოდა: ქალი გამიუ-პატიურაო. ზოგი ძმას მონაწილეობის წართმევას უპირებდა, ზოგი გლეხებს ტყის მოჭრას და ზოგი რას. ჯოჯოხეთი ვერ მეიგონებს უკეთეს გასართო-ბებს.

ბ. საშას კლიენტებში ბევრი პერევისელი წე-რეთლები შევნიშნე. ერთ მათგანს ვკითხე თუ რამ მოიყვანა ამ უთენია აქა.

— ამბობენ პაპავას ნემცებს მამულს ართმე-ვენ და ქართველებს ურიგებენო. გვინდა თხოვნა დავაწერიოთ რომ ის ადგილები ჩვენი იყო, პაპავამ ჩვენ წაგვართვა და ჩვენვე უნდა დაგვიბრუნდეს.

— მაგისთვის ალბათ „ტორგი“ იქნება და ფული გაქვთ?

— აბა შენგან არ გვიკვირს ბ. ისემცრაგითხრა? მას აქეთ, რაც ჩვენ მამული გავყიდეთ აგერ ექვსი წელია და აქნამდე ფულს სად შევინახავდით? განა თხელიძის დუქანში ღვინო აღარ იყო, ან მწეავარ-შეძებართ აღარავინ ზრდიდა გასაყიდათ?

— ამბობენ უფულოთ ურიგებენო, ჩაგვერია ლაპარაკში მეორე.—გაზეთ „საქართველო“-ში სწერიაო და ნეტავი თუ მართალია?

— არ ვიცი, შეიძლება მართალიც იყოს.

— ასე იქნება მაშ—ამბობს დარწმუნებით მესამე—ასე იქნება. კიტა ჩვენ დაღუპვაში ხომ არ გეერეოდა, თუ ასე არ იყოს?

— კიტა რა შუაშია? შევეკითხე მე ხანჯლოსან აზნაურს.

— იმ შუაშია, რომ ეგ ადგილები სულ კიტამ მიყადა პაპავას, როგორც ჩვენმა ვექილმა. ალბათ იცოდა, რომ ექვსი წლის მერე უფულოთ დაგვიბრიგებდენ.

რაიო, ძმაო ეშმაკო? წერილი გაგრძელდა? კარგი, გავჩერდები ჯერჯერობით, დავისვენოთ.

შენი მოსიყვარულე

ისემცრაგითხრა.

უპატრონო „ბარაშკა“.

„ქ. ზ. წ. კითხვის გამ. საზოგადოებამ თავისი თანხის გასაძლიერებლათ 26 მაისს სახალხო სეირნობა გამართა. ამ დღეს ლატარიაში გაათამაშეს თეთრი ცხვარი (ბარაშკა). ეხლა აღმოჩნდა, რომ ბარაშკა სამხედრო ტყვეთა კომიტეტს ეკუთვნოდა და წ. კ. საზოგადოებას 18 მანეთს ედავება“.

(ქალაქში გავრცელებული ხმები).

ჩვენი ქვეყანა კულტუროსანი
(დამეთანხმებით, ვფიქრობ, მგოსანნი)
არის ედემი ბედნიერების,
უზრუნველ ყოფის, კეთილ ცხოვრების.
გულუხვი ხალხი, სტუმართ-მოყვარე,
დიდთა ბატონთა მოძმე-მოგვარე,
ააღლი სულით, მდიდარი ფულით,
როგორც ზამთარში, ეგზომ ზაფხულით.
და რა მოვთვალოთ, ყველა, ვინც გინდა,
(ვინაც ერთ დროში გროშათ არ ღირდათ)
მოღვაწე არის, ქვეყანას უფლობს,
ერის საუნჯეს მუნ ჭირისუფლობს.
და რა დამყარდა ეგეთი წესი,
რომ არ ირჩევა საქმეში სქესი,
ნუ გაიკვირვებთ, თუ ის ცხოველი,
მინდვრათ ბალახის მწვანის მძოველი,
შემოერია დიდსა საქმესა
რომ მოღვაწეთა ჩვენში ნაქებსა,
ის შეეჯიბროს გულუხვობაში,
და ფიცი დასდვას მათთან ძმობაში.

—

ყური დამიგდეთ, მე თქვენ გიამბობთ
ერთსა ამბავსა საარაკოსა.
(ოი შეჩვენდეს მისი სახელი,
ვინც სასწაული ეს არ აქოსა!..)
ამ წლის მაისში „წერა-კითხვაში,
(არ აურიოთ ეს საქმე სხვაში)
ქველმოქმედების დიდი მიზნითა
(რაც იმართება ყოველი წლითა)
ხალხი მოგროვდა სასეირნოთა
(მუნ მოელოდა წვადს და ღვინოთა)
და შემოსავლის გასადიდებლათ
გამგეთა გულის გასაცინებლათ,
ლატარიისთვის ნივთების გროვა,
ჩვენმა ქალებმა იქ დააგროვა.
მაგრამ შეხედეთ! „ბარაშკა“ ერთი,
ვით მარმარილო დანით ნაკვეთი
თოკით დაბმული ვინ მოიყვანა
მნახველი მისი აქ არვინ ჩანა.
ვინ დასთმო იგი, ვინ მოიძულა,
უკაპეიკოთ, უგროშოთ სულა
და ამ ძვირობის ბედკრულ ხანაში,
(უფულობისგან კეფის ფხანაში)
ქველმოქმედური გრძნობით ძლეულმა
ვინ შემოსწირა კრავი წყეულმა?
შკოლების გამგე გიგო ბურჭული,
(ვისაც რომ უყვარს „ყურში ჩურჩული“)
ვარლამი ბურჯი, მოღვაწე ჩვენი,
(თვით განგებისგან მდივნათ ნაჩენი)
და სხვა მრავალი ქალების კრება
(ვის სილამაზით ვერვინ ედრება)
„ბარაშკას“ შეხვდენ გახარებული,
(საქმე ეჩვენათ გათავებული)
და რომ ქანქართა მიელოთ ღვარი
ლატარიაში ჩაგდეს ცხვარი.
გაათამაშეს, წილად ხვდა ვისა,
დარდი ამისა აქვს არავისა.

—

გავიდა ხანი, ივნისი დადგა,
„ბარაშკა“ იგი სამსხვერპლოს წარსდგა-
ხორცი მოხრაკეს, ტყემლით გალესეს,
ჩანგალ-დანები დასწმინდ-დალესეს,
შეატკვარუნეს, როგორცა თხილი,
(რამეთუ იყო უზომო ტკბილი)
და ამა რიგათ უპატრონო ცხვარს
მგლებისა ხროვა დაეხვია გარს.

—

მაგრამ ერთ დღესა, „წერა კითხვაში“
(რითაც გაებენ დიდსა ხიფათში)
წერილი მოდის ფართო კონვერტით,
(ქართული კლუბის მახლობლათ, გვერდით.)
სამხედრო ტყვეთა ბიუროსაგან
არ შეგაშინოსთ სახელმან მაგან.
და მოითხოვენ ქანქარსა თვრამეტს
(კარგათ გავიგე, არ ნაკლებს, არც მეტს)
რადგან „ბარაშკა“ გამოქცეული,
თავისუფლებას მარად ჩვეული,
ლატარიაში ჩააგდეს ცოცხლად
და ათამაშეს მარტოკა, ობლად.
არც კი იკითხეს ვის ეკუთვნოდა,
ან სასეირნოთ აქ რა უნდოდა,
ოთხფეხსა მუნჯსა, მინდვრად მძოველსა,
უპატრონოს და უხმო ცხოველსა.
გვიანდა არის. ფულს გადიხდიან
(აბა უარსა როგორ იტყვიან)
მარა „ბარაშკას“ რა ეშველება,
(ცრემლები მომდის, თქმა მეძნელება)
საქველმოქმედოთ მოვიდა ხალხში,
გამოიპარა, არ დადგა სახლში,
და ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა,
(აქ ასულებმა, იქით ძეებმა)
ალარ დაინდვეს, გაყიდეს, გასცეს,
დანა გალესეს, კისერში დასცეს
და როს გაუგო ესე პატრონმა,
რა უნდა ეთქვათ, ფასი ედიდათ
(წინეთ ეს აზრი ფეხზე ეკიდათ)
და ხელი მიჰყვეს ისევ ვაჭრობას
(მარილავენ ფარულ კრებებს და ბჭობას)
მარა სჯობს მისცენ იგი ქანქარი
და გაასწორონ საქმე წამხდარი.

ხუნაგი.

მოზაიკა.

„ქართული იდეა“.

გაზ. „საქართველოში“ ვინმე ტ. ტაბიძე სწერს;

„ქვეყანა დიდია.
გაიხედავ აღმოსავლეთით,
გაიხედავ დასავლეთით
არ უჩანს კიდე. არ უჩანს საზღვარი.

რაც უნდა გვარწმუნონ, რომ არსებობენ უფრო დიდი პლანეტები, რომელთანაც ჩვენი დედა-მიწა მხოლოდ იალქნის ნაფლეთიღაა აღელვებულ ზღვაზე, ჩვენ მაინც ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვიფიქროთ, რომ დადაა ჩვენი ქვეყანაც“.

ადვილი საქმეა! ვინ დაუშლის ბ-ნ ტ. ტაბიძეს—ნება მისცეს თავის თავს იფიქროს როგორც მოესურვება. აი თუნდ ასე:

„ტ. ტაბიძე უგონიერესი მწერალია.
გავხედავ კრიტიკაში,
გავხედავ ბელეტრისტიკაში
არ უჩანს ბადალი, არ უჩანს მეტოქე.

რაც უნდა არწმუნონ, რომ არსებობენ უგონიერესი კრიტიკოსები, რომელთანაც ტ. ტაბიძე უბრალო სოციალიზმია ფედერალისტთა პარტიაში, ის მაინც ნებას მისცემს თავის თავს იფიქროს, რომ ტ. ტაბიძე უგონიერესი მწერალია“.

საქმე მხოლოდ იმაშია, თუ დაუჯერეს.

მაიმუნთა ლაშქარი

(სტენა)

აზირ რა მაზალო რამე ვსთქო?..

ძმაო, ბევრი რამ მინახავს ჩემს სიცოცხლეში ახალ-ახალი გამოგონებები: აი, ეს ედისონიო, ეს ფორტოფიანიო, ეს ელეზნი დოროგაო, ეს ტელეგრაფიო, ესეც „აეტომობილიო“, მაგრამ ამ ომში რამეები რაც არ გავიგე, ერთბაშათ გავკვირდი, რაღა!.. ვა!.. კაცო, ერთი უყურეთ და, რაები არ გამაიგონეს. ამოჩიჩქნიან მიწას, გააკეთებენ ზიტონცკი კედლებს, ჩადგამენ შიგ რუჟიო-პრშკა-პულემეტს, მაღლა „როულკას“ გაბამენ და პანტასავით ტყვიას ისვრიან. ეს ჰაეროპლანებმა ხომ სულ ზაჰლა წაიღეს, რაღა! ზეცაშიც ომობენ, მიწაზე-

დაც, წყალზედაც, წყალქვეშაც და, გუშინ დილას პეტრუზამ მითხრა, ეხლა მიწის ქვეშაც ჩხუბობენ. ეხ! ძმაო ჯან, კაცის სიცოცხლე სარდინკის ცარიელ კაროპკათაც აღარ ფასობს.

ეხ!.. ჰო, ისევე, რას ვამბობდი... ახარ, რა მაზალო რამე უნდა მეთქო... ჰო, რაღა...გაიგეთ... ეხლა რომ ჩვენ ერთი ახალი სახელმწიფო გვეხმარება? აი, ისევე, ფორთაკალია, რაღა! თურმე, რა შტუკა გამოუგონია, და! აუყვანია ორი მილიონი მაიმუნი ესევე, პატარა მაიმუნები, რაღა! ისეთი სალდაცკი პრავილები შეუსწავლებია, რომ რაღა! თურმე, ღამე არ დადგება, ეს მაიმუნები აიღებენ „ვზრივოჩნი ბომბებს“, მიიპარებიან ღერმანიასთან, ესვრიან და გამაიქცევიან! ღერმანიამაც რა ქნას, კაცო, ვერა ჩხუბობს! ვა! მაიმუნს როგორ ეჩხუბოს?.. ეს კიდევ არაფერი! თურმე იმ ფორთაკალიის ღასუდარსტვოში სულ სამსე ყოფილა, რაღა, მაიმუნებით. სირაჩხანაში რომ არ შეხვალ, დაუძახებ პატარა მაიმუნჩიკს და რაც არა გნებავს, სუფველაფერს მოგიტანს. ვა მოდი და ნუ გაგიკვირდება ამისთანა გამოგონებები.

გუგული.

როგორ იყიდა კარაპეტამ შაქარი.

მოდის კარაპეტა საქალაქო დუქნისკენ შაქრის საყიდათ და თავისთვის ლაპარაკობს:

— ვაჰ კაცო, კაი თავი ჰქონია აი იმ მამაცხონებულს, ვინც ეს გარაკოი ლავკა მაიგონა. არა, ერთი მითხარი, რა გვეშველებოდა ეგ რომ არ გაეღოთ? ჩემი ვართანუშა ხომ უშაქროთ დარჩებოდა?! შუტკა ხომ არ არის! მე შენ გეტყვი და შაქარი არ ექნებათ აი! მაშ არა და იმ მაჯლაჯუნა ზაქარასავით ათი გირვანქა ექნებათ!.. ტრიციტ პიატ კაპიკიო ფუნტიო!!! ეეე! ტრიციტ პიატი რა, შენი შაქარი ოქროსი ხომ არ არის? აი ეხლა, შენმა თავის გახეთქამა, სოროკათ გაყიდი აი! აი ეხლა ჩემ ვართანუშკას როგორ ბლომათ შაქარს მიურბევინებ და! იფ, შენი გულისა შენი... ეხლა ორის მაგიერათ სამი კუსოკი ჩაიგდე ხოლმე რაღა დუშკაჯან...

ვაჰ! ეს რა ამბავია კაცო!—თითქმის დაიყვირა კარაპეტამ, როდესაც ის აუარებელ ხალხს წააწყდა, რომელნიც მთელ ვერსზე იყვნენ გამწკვრივებულნი. რა საშინელებაა!.. რა ჟრიამული, წივილ-კივილი, ცემა ტყეპა!!! ღმერთო ჩემო! არც კარაპეტა გახლავთ ძალიან მხდალი, ის ისეთი უშიშარია, რომ თავის დუქანს რომ დაჰკეტავს მარტოკა მიდის სახლში, მაგრამ იმასაც კი შიშის ზარი დასცა იმ საშინელებამ. მაგრამ გულ-გახეთქილმა და იმედ დაკარგულმა კარაპეტამ გადასწყვიტა დამორჩილებოდა თავის ბედს. თუმცა ძალიან ეძნელებოდა, მაგრამ მაინც ჩადგა „ოჩერედში“.

— აი გიდი! რა დროს მოვესწარით!—განაგრძო კარაპეტამ საუბარი.

— ვაა! შე კაი კაცო ცოტა უკან დადექი რაღა; კაცი ლამის ისეც ორშაურიანი ყარფეზივით გავსკდე და შენ კიდევ ზედ მაწვები! ეეე.., შუტკა შტოლი! ამ საყვედურს ეუბნებოდა კარაპეტა თავის მეზობელს, რომ „ლავკაც“ გააღეს. ასტყდა უფრო უარესი წივილ-კივილი; დაიწყეს მოქმედება მუჯლუგუნებიც და გაჩაღდა ბრძოლა. საწყალ კარაპეტას გვერდები აღარ შეარჩინეს. ასე დაიწყო „გარაკოი ლავკის“ ჩარხმა მუშაობა, რომელიც თან-და-თან ძლიერდებოდა. კარაპეტა მოუთმენლად ელოდა იმ წამს, დოდესაც ის მძლავრი ჩარხი იმასაც სხვებისავით ჩაითრევდა და ცოტა ხნის შემგეგ გამოაბრძანებდა შაქრით იღლიაში, მაგრამ როდის?.. აი ასტყდა უარესი ჟრიამული.—„რა ამბავია?“—ისმოდა სუყველა მხრიდან, და მალე სუყველამ გაიგო რაც ამბავი იყო, როდესაც გულწასული დედაკაცი გარეთ გამოათრიეს. ამ ალიაქოთში გავიდა ერთი საათი იმას მიჰყვა მეორეც და ჩარხმა შესწყვიტა მუშაობა. დაღონებულნი და დაღლილნი შაქრის მუშტრები ლანძღვით და გინებით გაემგზავრენ სახლისკენ, რომ სახვალიოთ მომზადებულიყვნენ „ოჩერედში“ სადგომათ. კარაპეტამაც გინებით გასწია შინისკენ.

— კაცო, კიდევ უშაქროთ მოდიხარ?!—ჰკითხა გაკვირვებით ვართანუშამ ქმარსა, რატომ შაქარი არ მოგაქ? ეხლა ხომ გარ...

— ეეე! ოხერო...—შეაწყვეტინა კარაპეტამ, ხომ არ გაგიჟებულხარ, შაქრის ყიდვა შუტკა ხომ არა გგონია? ჰა? შაქარი! მე შენ გეტყვი შენც სხვებისავით წახვალ და ღამის სამ საათზე დადგები ოჩერედში! შე მუდრეგო შენა.

— მუდრეგო და არც არა იცი რა—გამოეპასუხა ნაწყენი ვართანუშა—შე ოხერო შენა... რა ღმერთი გაგწყრომია? ხატის ღვინო ხომ არ დაგა-

ლევინეს შე... ეშმაკის ცხენზე შამჯდარა ეს ვერანი ესა. დიდება შენთვის ღმერთო!!! შენ რომ უშნო იყო რა ჩემი ბრალია? შე უქნარა შენა... ქალაქი შაქრითა ყარს და შენ კი...

— ჩუმათ ეგდე! შეაწყვეტინა კიდევ კარაპეტამ.—გიჟია ეს ოხერი ესა? რის შაქარი, რის ფლავი, რის კირკაჟი! აბა ვის გაუგონია რომ კაცი მთელი დღე შაქრისთვის იდგეს ოჩერედში? ჰა? მერე ისიც ამ სიცხეში.

— წადი და ჩვენს ზაქარას გამოართვი... იმას ხომ...

— რას მიედ მოედები დედაკაცო? ამას უყურე ერთი და! რა, მანთაშოვის ქონება მე ხომ არ დამრჩენია, რომ ტრიციტები და სოროკები ვაძლიო? ჰა?

— იჰ! მეხი კი დაგაყარე მეხი!.. მიწამ ჩაგიტანოს მიწამა შე უქნარა შენა.. როგორ არა გცხვენია შე ბაიყუშო შენა!.. ტრიციტები როგორ ვაძლიოვო, ქა!.. უნდა თვალები დაითხარო და მაიტანო. მაშ ღვინოში ხომ კარგათ მისცემ მანეთებსა?.. თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი. თუ არ მაიტან მე წავალ და ნისიათ გამოვართმევ...

საბრალო კარაპეტამ ბევრი აბრიალა თვალები, მაგრამ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა. ის დარწმუნებული იყო, რომ გააფთრებულ ვართანუშასთან ვერაფერს გახდებოდა. ადგა და გასწია ზაქარასკენ, რომელსაც დიდი ხვეწნით ორი გირვანქა შაქარი გამოართო. შაქარში კარაპეტამ ოთხი აბაზი გადაიხადა სულ ქალალდის შაურიანებით და თანაც მტკიცე პირობა მისცა ზაქარას, რომ ის შაქარი არავისთვის არ ეჩვენებია. სახლში კარაპეტა დაბრუნდა გახარებული უფრო იმიტომ რომ, ქალალდის შაურიანები გაასაღა.

გიორგი.

ᲞᲝᲚᲔᲗᲐ

ტანჯვა-ს. თქვენი ლექსი „გაზა ფხული“ ძლიერ ნაგვიანევია, მიუხედავათ იმისა, რომ სიტყვა გაგინაწილებიათ.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. ალ. ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲘᲫᲔᲡ. საიდუმლოთ გამოკითხეთ ვისმე კარგ ნაცნობს, თუ რა სთქვა პოეტმა პუშკინმა „პიროჟკებისა“ და „საპოჟკების“ კეთების შესახებ.

ᲖᲔᲓᲕᲐᲙᲔᲚᲡ. რომელ ვირთხაზე ლაპარაკობთ.

ᲣᲑᲘსელს. „მე ამბავი საგანგებო,
თუ რომ გსურ
თქვენ სულ ტანჯვით
ბოგშები გაზარდოთ მანჯვით... და სხვ.
ასეთი ლექსი უმჯობესია უბით ატაროთ

Ბ-ᲜᲔᲠᲝᲗᲡ. ვერც რედაქტორმა, ვერც ნ. კალანდაძემ, ვერც ეშმაკმა თქვენს ლექსს—მესტვიერულს ვერაფერი უშველა. იქნებ უსამართლოდ, მაგრამ მაინც დაისაჯა სარედაქციო კალათში დამწყვდევით.

Ბ-ᲜᲥᲕᲘᲢᲘᲠᲔᲚᲡ. თქვენი ლექსი „**ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲡ**“ ძლიერ აზვიადებს ჩვენი „მათრახის“ მნიშვნელობას.

„შენს მათრახსა ძალა ფიცი
კაბასობას გადაჩეკს;
თავსაც იცნობს, სხვასაცა ცნობს
აბაშელ ზოგს ქალბატონებს“.

საქმე იმაშია, რომ არა თუ ქალები კაბასობას, წარმოიდგინეთ უხეირო „პოეტები“ ლექსის წერასაც ვერ გადავაჩვიეთ.



„ცხებული!“



ნ ივნისს, ხარფუხის კლუბში გაიმართა სახალხო სეირნობა **„ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობის დამხმარე საზოგადოების“ „იმედის“ სასარგებ-ლოთ.** (ჟურ. გაზეთებიდან).

„იმედის“ თავმჯდომარე ქ. ნ. ბ. ყიფიანისა. (სანდრო შანშიაშვილს) შემოდი, შვილო! ქართველ ახალგაზრდა მგოსანთა შორის შენ ყველაზე მეტათ „ცხებული“ ხარ!

სანდრო შანშიაშვილი. ოღონდაც. დედი, ოღონდაც!

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.